ენციკლოპედია

ბ. აბრამიშვილი

ზენიშვნები ატენის სიონის მხატვრობის თარიღის შესახებ

(წარმოდგენილია აკადემიკოსმა ბ. ალიხანიშვილმა 10.10.1961)

ატენის სიონის კედლის მხატვრობის თარიღის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: ბ. ა ბ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი კედლის მხატვრობას 904—906 წლების ახლო ხანით ათარიღებს [1]. ამ დებულების საწინააღმდეგოდ რ. შ მ ე რ ლ ი ნ გ ი, პალეოგრაფიული და ისტორიული ანალიზის საფუძველზე, კედლის მხატვრობის შესრულების დროდ ვარაუდობს 1072 წლის შემდგომ ხანას [2]. ამ მოსაზრებას იზიარებს თ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე ც [3]. 1956 წელს გამოქვეყნდა თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი ს წერილი ატენის სიონის ხატვრობის თარიღის შესახებ, სადაც ავტორი კითხულობს ტაძრის აფსიდში ახლად აღმოჩენილ საკტიტორო ხასიათის წარწერას, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ კედლის მხატვრობა შესრულებული ყოფილა 1080 წელს [4, 5].

ამ წერილში გვინდა ნაწილობრივ შევეხოთ ატენის სიონის დასავლეთის აფსიდის კედლის მხატვრობის ქვედა რეგისტრს, რომლის სამხრეთის ფრთაზე მოთავსებულია მხატვრობის დამათარიღებელი ზემოთ აღნიშნული 8 სტრიქონიანი წარწერა[1].

დასავლეთის აფსიდის ჩრდილოეთის ფრთაზე, ქვედა რეგისტრზე ბემიდან აფსიდას სარკმლამდე იქნა ექვსი კტიტორია გამოსახული, რომელთა ვინაობის დადგენის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვაობაა. მის მოპირდაპირე მხარეს, სამხრეთის ფრთაზე, ბემიდან აფსიდის სარკმლამდე წინასწარმეტყველები და წმინდანები შემდეგი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი: ბემის კედელზეა ელია წინასწარმეტყველი, წმინდა იოანე ღმრთისმეტყველი და მამა მთავარი ენოქი საამოთხეში. შემდეგ, აფსიდის ფრთის დასაწყისში, რეგისტრის მთელს სიმაღლეზე არის საშუალოდ 104 სმ სიგანის ლაკონი, რომლის ზედა ნაწილზე ჩვენ მიერ უკვე აღნიშნული საკტიტორო ხასიათის წარწერაა მოთავსებული, რის შემდეგ სარკმლამდე გამოსახულია ამბაკუმი, იუდელი, იოელი და დანიელ წინასწარმეტყველები (იხ. სურ. 1, 2). ამგვარად, დასავლეთის აფსიდის სამხრეთის ფრთაზე სარკმლამდე გამოსახულია ოთხი წინასწარმეტყველი, რომელთა წინ მხატვრობის დამათარიღებელი წარწერაა მოთავსებული.

დასავლეთის აფსიდის სამხრეთის მხარეს, ორი კომპოზიციის მოთავსების მიუხედავად, რეგისტრის ეს ნაწილი ერთ მთლიან მხატვრულ ხილად იკითხება ისევე, როგორც ამავე რეგისტრის მოპირდაპირე მხარეს გამოსახული კტიტორები ერთ მთლიან, მხატვრულ მწკრივად აღიქვამთ. დასავლეთის აფსიდის ჩრდი-

---

[1] 1961 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი მიელინებულ იქნა ატენის სიონში. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ მუზეუმის უმცროსი მეცნიერ-მუშაკები: ჯ. ეფრემიანი, ი. ჯანდიერი, გ. ხიბაშვილი, ი. ჩხარტიშვილი, ე. ცაბილა, გ. ბერიძეშვილი.

ლოეთისა და სამხრეთის ფრთაზე სხვადასხვა ხასიათის კომპოზიციებ'. შოთავ-
სების მიუხედავად, ისინი გაერთიანებული არიან ერთ მთლიან რიტმში. მხატვ-
რულ ხოლში, სადაც სამხრეთის ფრთიდან ჩრდილოეთის ფრთის მიმართულე-
ბით მოძრაობაში მყოფ წინასწარმეტყველთა და კერუბიმთა გამოსახულ-ებით, რეგის-
ტრი ერთი საერთო მხატვრული პრინციპით გადაწყვეტილ მთლიანობაში წარ-
მოგვიდგება. დასავლეთის აფსიდის სამხრეთის ფრთის დასაწყისში, წინასწარ-
მეტყველთა წინ საკურთხევლის წარწერის მოთავსებას ერთგვარი დისონანსი შე-
აქვს. ბემასა და აფსიდის ფრთას შორის ირღვევა რიტმი ხახატისა და ფერადი
ლაქებისა, რაც ამ რეგისტრის მხატვრულ ამოცანებისაგან შეუთავსებლად
გამოიყურება.



სურ. 1

ადგილის მხატვრობის შესწავლისას, ჩვენი ყურადღება მიიქცია საკურთხევლის
წარწერის ქვედა ფენაზე დაჩენილმა მხატვრობის მცირე ფრაგმენტმა (2 X 1
სმ, იხ. სურ. 1), რომელიც ვამოჩენილია მასზე არსებული შელესილობა ერთ-

ნაწილის ჩამოცვენის გამო[1]. ადგილზე შესწავლამ დაადასტურა, რომ აღნიშნული ფრაგმენტი ეკუთვნის კედლის მხატვრობის იმ ფენას, რომელზეც წინასწარმეტყველები და კეტიტორებია გამოსახული. მხატვრობის ეს ფრაგმენტი მოთავსებულია ამბაკუმ წინასწარმეტყველის შარავანდედიდან მარცხნივ 46 სმ მანძილზე, აფსიდის ფრთის დასაწყისიდან მარჯვნივ 60 სმ. რეგისტრის გაყოფილი ორნამენტული ზოლიდან ქვევით 18 სმ დაშორებით. შელესილობის ქვეშ მოქცეული კედლის მხატვრობის ფრაგმენტი მოწითალო ფერისაა. ჰისგან მარჯვნივ, 13 სმ დაშორებით, კარგად შეიმჩნევა შარავანდედის ოკანა ჰოფალტონი მცირე ნაწილი.



ხატ. 2

კედლის იმ ნაწილზე, რომელზეც მოთავსებულია კედლის მხატვრობის ზემოთ აღნიშნული ფრაგმენტები და სიტრეტორი წარწერა, ჩანს შეკეთების კვალი. წარწერის ზევით გამოსახული მაკურთხებელი მარჯვენა კედლის ოთხ სხვადასხვა ფენაზეა მოქცეული. მისი სალოცი და ზეა თითი ხელის მტევნის ერთი ნაწილით კედლის მხატვრობის ძირითად ფენაზეა დახატული. ხოლო ხელის დანარჩენი ნაწილი და ცის სეგმენტი გადადის შელესილობაზე, რომელიც კედლის მხატვრობის ძირითად ფენაზე დევს. შელესილობის სისქე ამ ნაწილში საშუალოდ სამოთხე მილიმეტრს უდრის. ასომთავრული წარწერის სამი სტრიქონი კედლის მხატვრობის ძირითად ფენაზეა მოთავსებული. ხოლო მეოთხე სტრიქონის ერთი ნაწილიდან ტექსტის დასასრულამდე, წარწერა ძირითად ფენაზე არსებულ შელესილობაზე კადადია, რომლის სისქე ამ ნაწილში საშუალოდ

---

(1) ნახ. 1-ზე ილუსტრირებულია კედლის მხატვრობის ძირითადი ფენა ცარიელ მიმართული შეკეთებით აღნიშნული ადგილებით, რომელიც ძირითად ფენაზე დევს დაშორებული ნაწილით აღნიშნული მხატვრობა 3 ამბრაჰამიანის მიერ 1950 წელს ნაკურთხევ ხარებლიანი ცარიელ სამუშაოთა შედეგად შეკეთებული ადგილები

ნახევარ სანტიმეტრამდე აღწევს[1]. ამგვარად, წარწერა და მაკერთხეველი შარავანდედი ქედლის ორ სხვადასხვა ფენაზეა მოთავსებული, ხოლო შელესილობის ქვეშ მოქცეული ქედლის მხატვრობის ზემოთ აღნიშნული ფრაგმენტი და შარავანდედის ნაწილი მხატვრობის ძირითად ფენას ეკუთვნის.

ქედლის მხატვრობის ამ ნაწილის აზომვის მიხედვით, ნალესობის ქვეშ მოქცეული მოწითალო ფერის ფრაგმენტი თავსდება აქ გამოსახული წინასწარმეტყველების თავის დონეზე. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამ რეგისტრში მოწითალო ფერის თმა არ აქვს არც ერთ წინასწარმეტყველს. მაგრამ თმის წერის ტექნიკის გაცნობამ გვაჩვენა ფენათა შემდეგი თანაარსებობა: ამბაკუმ წინასწარმეტყველის თმის მარცხენა ნაწილზე გაირჩევა ლია ყავისფერით მოხაზული თმის კონტური, რომლის არე დაფარულია მოწითალო ფერის საღებავით. მასზე ძირითად ფენად დაფენილია ყავისფერი, რომელიც ზევიდან დაფარულია წვრილი შავი ხაზებით. ამბაკუმ წინასწარმეტყველის შარავანდედის თავდაპირველი კონტური ლია მოყავისფრო ფერით არის მოხაზული, ზევიდან კი შემოვლებული აქვს შავი საღებავი. ამბაკუმ წინასწარმეტყველის თმის ქვედა მოწითალო ფერის სარჩულისა და ჩვენ მიერ აღნიშნული ფრაგმენტის ფერთა შედარებამ დაადასტურა, რომ წითელი ფერის ფრაგმენტი არის დახატული ფიგურის თმის ქვეშფენილი ფერი, ხოლო ყავისფერი რკალის ფრაგმენტი — მისი შარავანდედის ნაწილი, რომელიც ალდგენის შემთხვევაში კარგად ეტევა წინასწარმეტყველთა საშუალო ზომების ფარგლებში.

საყურადღებოა, რომ იმ ზოლზე, სადაც წინასწარმეტყველთა გამოსახულების შარავანდედთა ორსავე მხარეს შავი საღებავით შესრულებულია მათი აღმნიშვნელი სახელები, აქაც ამ წითელი ფრაგმენტის ზევით აღდგენილი შარავანდედის ორსავე მხარეს შეიმჩნევა ასეთივე შავი საღებავის მკირე ფრაგმენტები. გარდა ამისა, ქედლის მხატვრობის ძირითად ფენაზე, მის ქვედა ნაწილში, სადაც ქედელს არ ფარავს გვიანი შეკეთების დროის შელესილობა, მეტად მკრთალად, მაგრამ გარკვევით გაირჩევა ტანსაცმლის დრაპირების მოყავისფრო კონტურების ერთი ნაწილიც. ეს კიდევ ადასტურებს ქედლის ამ ნაწილზე გამოსახულების არსებობის შესაძლებლობას.

წინასწარმეტყველთა საშუალო ზომების მიხედვით, ქედლის იმ ნაწილზე, სადაც საკერტლორო წარწერის ქვედა ფენაზე შოქცეულია დახატული ქედლის მხატვრობის ფრაგმენტები, კარგად თავსდება ერთი გამოსახულება.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ განხილული ყველა მონაცემი ეჭვლებას უნდა გვაძლევდეს, რომ საკერტლორო წარწერის ქვედა ფენაზე ამბაკუმ წინასწარმეტყველის მარცხნივ ალვადგინოთ შეხეთე გამოსახულება შემდეგი ზომების დაცვით

(1 ძეთოზე სტრიქონის სიგრძე ოთხი ასო შელესილობაზეა მოთავსებული, ხოლო ამოდა დანარჩენი ნაწილი მხატვრობის ძირითად ფენაზე გადადის.

(2 წინასწარმეტყველთა ძირითადი ზომები: ეზეკიელ წინასწარმეტყველი — ამბაკუმ წინასწარმეტყველის შარავანდედი — 30 სმ. თავი — 22 სმ. მხრები — 40 სმ. წელის არე გრაგნილით 52 სმ. ეზეკიელ წინასწარმეტყველის შარავანდედი — 39 სმ. თავი — 22 სმ. მხრები — 44 სმ. წელის არე გრაგნილით — 58 სმ; იოელ წინასწარმეტყველის შარავანდედი — 39 სმ. თავი — 20 სმ. მხრები — 40 სმ. წელის არე გრაგნილით 48 სმ. დანიელ წინასწარმეტყველის შარავანდედი — 40 სმ. თავი — 20 სმ. მხრები — 42 სმ. წელის არე გრაგნილით — 74 სმ.

მაძიელ წინასწარმეტყველთა შორის: ამბაკუმ და ეზეკიელ წინასწარმეტყველთა შორის ნ. ლეტთა შორის — 28 სმ. მხრებს შორის — 27 სმ. წელის არეში — 11 სმ. ეზეკიელისა და იოელ წინასწარმეტყველთა შარავანდედებს შორის — 26 სმ. მხრებს შორის — 22 სმ. წელის არეში — 11 სმ. იოელ და დანიელ წინასწარმეტყველთა შარავანდედებს შორის — 28 სმ. მხრებს შორის — 40 სმ. წელის არეში — 16 სმ.

(ნახაზზე აღდგენას ვიწყებთ შარავანდედის ოკალის იმ ფრაგმენტიდან, რომელიც ეკუთვნის აღსადგენ გამოსახულებას): ჰორიზონტალური ზომები — მაჟორი ძმბაკეს წინასწარმეტყველისა და მეხუთე დახიანებული გამოსახულების შარავანდედის შორის—31 სმ, ეზრეს ნიშნის—25 სმ, წელის ორივე კრეტილით — 12 სმ; ვერტიკალური ზომები რეგისტრის გამყოფი ორნამენტული ზოლიდან შარავანდედამდე 8 სმ, ფეხის ტერფებამდე — 198 სმ.

ნახაზზე აღდგენილ გვიჩვენა, რომ მანძილი ჩვენ მიერ აღდგენილსა და ძმბაკეს წინასწარმეტყველის შარავანდედებს შორის ეესაბამება წინასწარმეტყველთა შარავანდედებს შორის დაცულ საშუალო ზომებს. კედლის მხატვრობის მოწითალო ფერის ფრაგმენტი თაესდება ჩვენ მიერ აღდგენილი შარავანდედის ბოლოსა ხაზილში, რომლის მანძილი შარავანდედის ოკალამდე კარგად ეესაბამება წინასწარმეტყველთა ამავე ნაწილის საშუალო ზომებს. ტანსაცმლის დასასრულების კონტეიერები ძალიანად თავსდება აღდგენილი გამოსახულების ტანსაცმლის ირეში; საკიტორო ხასიათის წარწერის მეორე და მეოთხე სტრიქონების ერთი ნაწილი ეკუთვნა მეხუთე წინასწარმეტყველის ტანის ირეში, რაც გამორიცხავს საკიტორო წარწერისა და კედლის მხატვრობის სინქრონულობას.

ანგარიშად, დასავლეთის აფსიდის სამხრეთი ფრთის კედლის მხატვრობის ძირითადი ფენის ერთ ნაწილზე ირის გაიანდელი ნახის შელესილობა, რომელიც საკიტორო წარწერის ერთი ნაწილია მესრულებელი შელესილობა ფარავს დახიანებული მხატვრობის იმ ფრაგმენტს, რომელიც შეეკუთვნება აქ ნახმოსახელ წინასწარმეტყველებისა და კიტორების ფენას. კედლის ძირითად ფენაზე, არსებული ფრაგმენტებისა და წინასწარმეტყველთა საშუალო ზომებს დაცვით, ნახაზზე ხეობდება ძეხეთე გამოსახულების ძიანლებითი კონფიგურაციის აღდგენა. რაც შეეხება საკიტორო ხასიათის წარწერას, რომელიც აღდგენილი გამოსახულების ზედა ფენაზე იმყოფება უნდა მივიჩნიოთ შედარებით გვიან ნანებში ჩატარებულ საშუშათა დამადასტურებლად და არა კედლის მხატვრობის იმ ფენის დამათარიღებლად, რომელზეც წინასწარმეტყველები და კიტორებია მოთავსებული[1]. როგორც ჩანს, ჩატარებული ყოფილა ატენის სიონის დახიანებული კედლის ძხატვრობის შეკეთება-გაცხოველება ამით უნდა ახსნებოდეს ძეხეთე წინასწარმეტყველის მოქცევა შელესილობის ქვეშ, რომლის აღდგენა-გაცხოველება, მისი დახიანების გამო, მხატვრისათვის შეუძლებელი ყოფილა. როგორც ჩანს, კედლის ეს ნაწილი ძალიანად არ ყოფილა შელესილი, შეუკეთებიათ მხოლოდ მისი ცალკეული დახიანებული ნაწილები. შემდეგ, შეკეთებულ კედელზე, რომელზეც ადალი ბათქაშის გარდა ძირითადი — დაუზიანებელი კედელიც ყოფილა დატოვებული, მოუთავსებიათ აქ ჩატარებულ საშუშათა მაუწყებელი წარწერა. აქ კარგად გაირჩევა კედლის მხატვრობის ძირითად ნაწილზე არსებული შელესილობა, რომელიც მისი საგრძნობი სისქით, ფერითა და სტრუქტურის სხვაობით კარგად გამიჯნულა ძირითადი ფენისაგან (იხ. სურ. 1).

---

[1] ჩვენ სწორედ არ ეგულისხმა საკიტორო წარწერის იმ ნაწილის წაკითხვა, ხიდან ფ. ბარნაველ მერვე სტრიქონში ასეთ ჭ-ს ძალისაგან ქართული წერილობითის ძეგლი [ნ. 4], ეარდა ანსა, რომ ამ სტრიქონზე ან იყოფილა ქორონიკონი (ᲩᲛᲔᲢᲘ) ასეთ ჭ-ს ფან კარგად გაირჩევა Ჩ-ს მკრთალი მოხაზულობა (ᲩᲔ) რაც გამორიცხავს ამ ადგილზე ქორონიკონის არსებობის შესაძლებლობას.

საკვლევი წარწერისა და მის ზევით გაშოსახული ჭაღარაბეგელი ქალების ერთი ნაწილის მოთავსება ყველის ძირითად ფუნქციაზე. ხოლო მათი დანარჩენი ნაწილის მოქცევა შელესილობაზე. ვფიქრობთ, ამით უნდა იხსნებოდეს

საქართველოს სსრ ხელოვნების
სახელმწიფო მუზეუმი
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 20.10.1961)

დამოწმებული ლიტერატურა

1. Ш. Я. Амиранашвили. История грузинского искусства, т. I. 1960, 185.
2. ო. ჯაფარიძე. ატენის ციხის ფალიმფსესტი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VIII, № 4, 1947, 267.
3. Г. Чубинашвили, Т. Кирсанидзе. Книга о старом грузинском искусстве. Искусство, № 2, Москва, 1955, 88—89.
4. ო. ბარნაული. ატენის ციხის ფალიმფსესტის თარიღის შესახებ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVII, № 3, 1956, 28.
5. ო. ბარნაული. ატენის ციხის წარწერები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1957, 6—7.

ამ. რედაქტორი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი ს. ყაუხჩიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.8.1963. ზეკ № 582; ანაწერის ზომა 7×11;
ქაღალდის ზომა 70×108; ნაბეჭდი ფურცლების რაოდენობა 11.3.
სააღრიცხვო ფურცლების რაოდენობა 12,5; ფფ 03681; ტირაჟი 700

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა, ქ. თბილისი, № 3/5
Типография Издательства Академии Наук Грузинской ССР, гор. Тбилиси, № 3/5